№2647 2015 წლის 11 დეკემბერი ქ. თბილისი

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მიერ სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე

1. ცნობად იქნეს მიღებული ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ინფორმაცია, კერძოდ:

ა) 2015 წლის 3 ოქტომბერს ქალაქ რუსთავში მოსული ძლიერი წვიმით გამოწვეული სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებისთვის, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული ხარჯების გარდა, საჭიროა დამატებით 1 267 000 (ერთი მილიონ ორას სამოცდაშვიდი ათასი) ლარის ღირებულების სამუშაოების განხორციელება;

ბ) 2014 წელს მომხდარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტისთვის სამშენებლო სამუშაოების განსახორციელებლად „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 ნოემბრის №1989 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან დარჩენილია ეკონომია 330 824.84 (სამას ოცდაათი ათას რვაას ოცდაოთხი ლარი და ოთხმოცდაოთხი თეთრი)

ლარი და „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ 2015 წლის 5 თებერვლის №143 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან დარჩენილია ეკონომია 180 255 (ას ოთხმოცი ათას ორას ორმოცდათხუთმეტი) ლარი.

2. უფლება მიეცეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტს, ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეკონომიები, ჯამში – 511 079.84 (ხუთას თერთმეტი ათას სამოცდაცხრამეტი ლარი და ოთხმოცდაოთხი თეთრი) ლარი, გამოიყენოს 2015 წლის 3 ოქტომბერს ქალაქ რუსთავში მოსული ძლიერი წვიმით გამოწვეული სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებისთვის.

3. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტმა 2016 წელს წარადგინოს წინადადებები ამ განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

4. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის 3^1 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტმა ამ განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ღონისძიებებთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მეშვეობით.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**